

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(76) 2014 წ. 16-31 ივლისი ფასი 50 თეთრი

## საარჩევნო კომისიიდან გვატყობინებენ



**თვითმმართველობის** წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მშვიდ გარემოში წარიმართა. კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცესი კანონის მოთხოვნათა დაცვით მიმდინარეობდა. საუბნო საარჩევნო კომისიებმაც მეტ-ნაკლებად კარგად გაართვეს თავი შესასრულებელ სამუშაოს. კენჭისყრის პროცესში არ დაფიქსირებულა კანონის ისეთი დარღვევა, რაც გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგებზე. გამჭვირვალედ წარიმართა ხმის დათვლის პროცესი. საჩივარ-განცხადებები, რომლებიც შემოვიდა საოლქო საარჩევნო კომისიაში, ძირითადად შეეხებოდა პროცედურულ დარღვევებს, რომლებსაც ასევე არ შეეძლო გავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგებზე.

45533 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 18926 ამომრჩეველმა.

არჩეულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი – გიორგი გზირიშვილი

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეულ იქნა საგარეჯოს საკრებულოს 15 წევრი.

მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე კი ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში აირჩა 21 მაჟორიტარი.

***№11 საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:***
*მაკა ბარიხაშვილი*

---

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 41

**14 ივლისი 2014 წელი** — **ქ.საგარეჯო**

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

**თანახმად** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა**:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი **ფრიდონ ბურდული, *მცხოვრები თბილისი ჭიათურის ქ№4 პირადი № 01024067754***
2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. მისამართი: ქ.სიღნაღი ც.დადიანის ქ№15.

*საკრებულოს თავმჯდომარე: ფრიდონ ბურდული*

---

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 42

**14 ივლისი 2014 წელი** — **ქ.საგარეჯო**

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

**თანახმად** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა**:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი **ცისმარი თედიაშვილი, *მცხოვრები საგარეჯო კახეთის I შეს. №6. პირადი №36001000257;***
2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. მისამართი: ქ.სიღნაღი ც.დადიანის ქ№15.

*საკრებულოს თავმჯდომარე : ფრიდონ ბურდული*

---

„ალოობა 2014“

## საშემოდგომო კულტურების დაბალი მოსავლიანობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები

**მიმდინარე** წელს საქართველოში თავთავიანი კულტურების წარმოება კატასტროფულად შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საშემოდგომო კულტურების მხრივ.

კარგა ხანია, რაც ივრისპირეთში ალოობა დამთავრდა. თავთავიანი საშემოდგომო კულტურები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წელს დათესილი იყო 7640 ჰექტარზე, აქედან 5685 ჰექტარზე – საშემოდგომო ხორბალი. საშემოდგომო ქერის ნათესებს კი დათმობილი ჰქონდა 2055 ჰექტარი.

აღსანიშნავია, რომ წელს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ქერის საშუალო მოსავლიანობამ 0.5 ტონა შეადგინა 1 ჰა-ზე, ხოლო ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 0.7 ტონა. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია შარშანდელთან შედარებით. ასეთი დაბალი მოსავლიანობის მიზეზი პირველ რიგში წლევანდელი გვალვაა, განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ნათესები 25-26 მარტის ძლიერი ქარის გამო, რომლის სიჩქარე 25-27 მ/წმ-ს აღემატებოდა.

დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ჩვენს მუნიციპალიტეტში თუ ერთის მხრივ გვალვა და გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებია, მეორეს მხრივ, ფერმერებისა და გლეხების უმრავლესობა არ, ანდა ვერ იცავს თავთავიანების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ წესებსა და არ ატარებს შესაბამის ღონისძიებებს. ნიადაგები არ მუშავდება თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით, სათანადოდ არ ხდება ნათესების გამოკვება, რწყვა, სარეველებზე დამუშავება და ა.შ. ამაში ბრალი, რათქმაუნდა, ჩვენი მიწათმოქმედების ხელმოკლეობასაც მიუძღვის. მარცვლეულზე ფასები დაბალი მოსავლიანობის გამო ვერ უზრუნველყოფს გაწეული ხარჯების დაფარვას, რის გამოც ვერ ახერხებენ ტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას.

მუნიციპალიტეტში ხორბლის დაბალი მოსავლიანობა ნაწილობრივ სხვადასხვა სოკოვანმა დაავადებებმაც გამოიწვია, რაც ჩვენი სამსახურის მიერ იქნა შესწავლილი და გამოვლენილი.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული მიზეზებისა, ზოგიერთმა ფერმერმა მაინც შეძლო მაღალი მოსავლის მიღება. მათ რიცხვს მიეკუთვნება აგროფირმა „კარტლისი“, რომელსაც რობერტ რევია ხელმძღვანელობს. მათ გიორგიწმინდის და დუზაგრამის სარწყავ ნაკვეთებზე ხორბლის ორი ჯიში „ანაპო“ და „პრ-58“ ეთესათ, რომელთა საშუალო მოსავლიანობამ 5,5 ტონა შეადგინა.

ხორბლის მაღალი მოსავლის მისაღებად გადამწყვეტი ფაქტორებიდან პირველი ფაქტორი ჯიში და თესლია, რასაც ადასტურებს ჩვენი ხალხური გამოთქმაც: „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“.

მეორე ფაქტორი – წინამორბედი კულტურაა, რადგან ხორბალი წინამორბედისადმი საკმაოდ მომთხოვნი კულტურაა.

მესამე ფაქტორი – განოყიერება მინერალური სასუქებით. ხორბლისათვის უკეთეს დოზად უნდა იქნეს მიჩნეული N– 60-90კგ, P – 90-120 კგ; K – 45კგ; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფერმერს უჭირს, უკეთესია ისინი შევიდეს მცირე დოზებით და მეტ ფართობზე;

მეოთხე ფაქტორი ნიადაგის დამუშავებაა – ხორბლისათვის ნიადაგის დამუშავების სისტემის არსი დამოკიდებულია წინამორბედზე;

მეხუთე ფაქტორი – თესლის მომზადება და თესვა – დასათესად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ჯიშიანი, პირველი კლასის კონდიციური თესლი;

მეექვსე ფაქტორი – თესვის ვადა. უნდა გვახსოვდეს ოპტიმალურ ვადაზე ადრე, ან გვიანი თესვა მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავალს.

მეშვიდე – ნათესების მოვლა;

მერვე – ნათესების მორწყვა – უპირატესობა უნდა მიეცეს დათესვის შემდეგ მორწყვას. მორწყვის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნიადაგის გადარეცხვას, ან წყლის ჩადგომას ჩადაბლებულ ადგილებში. სარწყავი ნორმაა I მორწყვის დროს 600-800 $м^3$ ჰა-ზე.

მეცხრე ფაქტორი - მოსავლის დროულად აღება. ეს ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია, რადგან ამ დროს მინიმალურია მარცვლის დანაკარგები.

მოსავლის აღება უნდა დავიწყოთ მაშინ, როდესაც მარცვალი მომწიფდება, ანუ მასში ტენიანობაა 16-18%-ია. სათესლე ხორბალი აღებული უნდა იქნეს 8-10 დღის განმავლობაში.

ზემოთ დასახელებული ფაქტორებიდან ერთ-ერთის უგულებელყოფა გარკვეულწილად მოქმედებს მოსავალზე და თესლის ხარისხზე.

სამწუხაროდ, ხორბლის მეთესლეობა საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს სტიქიურად. ფერმერებს არ აქვთ საშუალება დათესონ დარაიონებული ჯიშის თესლი. ისინი თესავენ იმას, რასაც იაფად „მოიხელთებენ“.

აღნიშნული კრიზისული მდგომარეობა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში არ არის. წელს სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ხორბლის მწარმოებელი რეგიონებია, ათასობით ჰექტარი აუღებელი დარჩა ყანების სიდაბლის და დაბალი სიხშირის გამო.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხორბლის მოსავლიანობის I ძირითადი ფაქტორია მაღალხარისხიანი ჯიში და მისი ხარისხიანი თესლი. ამ ორი ფაქტორის გარეშე, რაც არ უნდა მოვლა-მოყვანის საუკეთესო ტექნოლოგიური ფონი შევუქმნათ ნათესს, მისგან სასურველ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ.

ამჟამად ჩვენი სამსახური ინტენსიურად უკავშირდება ხორბლის მწარმოებელ ძლიერ აგროფირმებს, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ფერმერების მაღალხარისხოვანი თესლით მომარაგება.

*ნიკოლოზ ჯავახიშვილი,*
***საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი***

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**21 ივლისი, 2014 წ.**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული,** მოადგილე **ცისმარ თედიაშვილი**, 27 დეპუტატი, საკრებულოს აპარატი, სხვადასხვა პირები.

სხდომას უძღვებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული. მან დეპუტატებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო და შემდგომში თითოეულ საკითხზე გააკეთა მოხსენება.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების „დამოუკიდებლების", „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს", „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის", „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების", „ქართული ოცნება-კონსერვატორის", „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების", „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დაფუძნების შესახებ.

სხდომაზე ფრაქციების თავმჯდომარეთა კანდიდატები იქნა წარმოდგენილი:

***ფრაქცია „დამოუკიდებლების" თავმჯდომარედ*** არჩეულ იქნა ***დეპუტატი*** **კონსტანტინე დოღელიანი;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარედ*** – დეპუტატი **ივანე ბეჟიაშვილი;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარედ დეპუტატი*** – **გიორგი ჯინჯარაძე;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების", თავმჯდომარედ – დეპუტატი*** **დავით არაბული;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" თავმჯდომარედ – დეპუტატი*** **ბესიკ მარტიაშვილი;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარედ – დეპუტატი*** **თამარ სუხიაშვილი;**

***ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორის" – თავმჯდომარედ დეპუტატი*** **ალექსი იოსელიანი.**

ასევე, სხდომაზე წარმოდგენილი იქნა კანდიდატურები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეთა თითო კანდიდატურა. აღნიშნულ კომისიათა თავმჯდომარეთა არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით, რომელშიც 26 დეპუტატი იღებდა მონაწილეობას. შედეგების მიხედვით:

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ*** არჩეულ იქნა ***დეპუტატი*** **ალექსანდრე მეზვრიშვილი;**

***საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ*** არჩეულ იქნა ***დეპუტატი*** **ნიკოლოზ (ნოდარ) ვაჭრიშვილი;**

***სოციალურ, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ – დეპუტატი*** **მევლუდ დუჩიძე;**

***ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი*** **გოჩა ჩერქეზიშვილი;**

***სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების თავმჯდომარედ – დეპუტატი*** **ელდარ მეფარიძე.**

საკრებულომ მიიღო შესაბამისი განკარგულება მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ, რომლის საფუძველზე შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნის შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის №38 განკარგულება.

## საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები



**ბესიკ მარტიაშვილი**



**თამარ სუხიაშვილი**



**ალექსანდრე იოსელიანი**



**ივანე ბეჟიაშვილი**



**დავით არაბული**



**გიორგი ჯინჯარაძე**



**კონსტანტინე დოღელიანი**

## საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები



**გოჩა ჩერქეზიშვილი**



**ალექსანდრე მეზვრიშვილი**



**მევლუდ დუჩიძე**



**ნიკოლოზ ვაჭრიშვილი**



**ელდარ მეფარიძე**

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**2014 წლის 25 ივლისი**

**დღის წესრიგი:**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ცისმარ თედიაშვილი, საკრებულოს 27 წევრი და მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი.

**დღის წესრიგი**

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული, თანამომხსენებელი ალექსანდრე მეზვრიშვილი)

2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების , ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული, თანამომხსენებელი ელდარ მეფარიძე).

3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული, თანამომხსენებელი ნიკოლოზ ვაჭრიშვილი).

4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.



(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული, თანამომხსენებელი მევლუდ დუჩიძე).

5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული, თანამომხსენებელი გოჩა ჩერქეზიშვილი).

6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული)

7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ფრიდონ ბურდული)

8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

11. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

12. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

13. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

14. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

15. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

16. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

17. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

(მე-8-მე-17 საკითხებზე მოხსენება გააკეთა კახაბერ ხვთისავრიშვილმა)

წარმოდგენილი მოხსენების შემდეგ ცალკეულ საკითხებზე აზრი გამოთქვეს საკრებულოს წევრებმა: ზურაბ ქურთიშვილმა (პარტია „ნაციონალური მოძრაობა") და ვეფხია ჩერქეზიშვილმა (პარტია „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია").

საკრებულოს წევრებმა სხდომაზე განხილულ თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება, კონკრეტულად, დამტკიცებულ იქნა ყველა ის დებულება, რომელიც წარმოდგენილი იყო სხდომაზე.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა

# ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სერვისი — მეტი ხორცი, მეტი რძე, მეტი შემოსავალი!



**ეს** მეთოდი უკვე კარგა ხანია აპრობირებულია და ფართოდ იყენებენ პრაქტიკაში მსოფლიოს მეცხოველეობის ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიც დანია, ჰოლანდია, ისრაელი და სხვებია.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებას არაერთი უპირატესობა აქვს ჩვენებურ ტრადიციულ მეცხოველეობასთან შედარებით. კერძოდ, ჯერ ერთი, რომ უმჯობესდება ჯიში, მატულობს პირუტყვში ინფექციურ დაავადებათა კონტროლის საშუალება და რაც მთავარია, მაღლდება პირუტყვის პროდუქტიულობა. ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული ცხოველი გვაძლევს მეტ და უკეთესი ხარისხის ხორცს, რძესა და სხვა პროდუქტებს, საბოლოო ჯამში კი მეპატრონეს აძლევს მეტ შემოსავალს.

საქონლის ხელოვნური განაყოფიერება ჩვენი მუნიციპალიტეტის ვეტერინარებისათვის „უცხო ხილი“ არაა. ამ 2-3 ათეული წლის წინ აღნიშნულ მეთოდს საქართველოში და მათ შორის საგარეჯოს რაიონშიც მიმართავდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა ამ საქმეზეც მოახდინა. ქვეყნის მასშტაბით და ჩვენთანაც მოიშალა არსებული ხელოვნური განაყოფიერების სამსახურები, რის შედეგადაც ხელში შეგვრჩა დაბალპროდუქტიული, შერეული და გადაჯიშებული პირუტყვი, რომლებიც არც იმდენ ხორცს იძლევიან, რასაც უნდა იძლეოდნენ და 5-8 ლიტრზე მეტ რძესაც ვერ იწველიან, რაც ზემოდასახელებული და სხვა ქვეყნების მეცხოველეთა შედეგებთან შედარებით სასაცილოცაა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მეცხოველეობის გადარჩენის და შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი გზა საქონლის ხელოვნური განაყოფიერების სერვისის დანერგვა და განვითარებაა.

გაინტერესებთ, რატომ არის ხელოვნური განაყოფიერება კარგი? იმიტომ, რომ საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად ვიყენებთ საუკეთესო ჯიშის კუროს სპერმას, რომლის შერჩევის ფართო არჩევანი გვაქვს. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებული ნამატი პირველივე თაობიდან იძლევა 2-3-ჯერ მეტსაც რძეს, ვიდრე ნამატი. გაცილებით მეტს იწონის. აქედან გამომდინარე, მეტია მისგან მიღებული შემოსავალიც. ხელოვნური განაყოფიერების სიკეთეა ისიც, რომ საქონელი დაცულია ისეთი დაავადებებისაგან, როგორიცაა ბრუცელოზი და ტუბერკულოზი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გენეტიკური მასალა, ღრმად გაყინული სპერმა და ცხოველის ხელოვნური განაყოფიერება, იმაზე გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ბუღა-მწარმოებლის გაზრდა, შენახვა და მოვლა-პატრონობა უჯდება პატრონს მთელი წლის განმავლობაში.

ხელოვნური განაყოფიერებით მიღებულ ნამატს ორივე მშობლისაგან გადაეცემა ამ ჯიშების საუკეთესო ნიშან-თვისებები. დედისაგან — გარემოებასთან და ადგილობრივ კლიმატთან შეგუება, დაავადებების მიმართ მდგრადობა, კუროს მხრივ კი — ძლიერი სხეული, მაღალი პროდუქტიულობა და საუკეთესო გენეტიკა.

ამიტომ, თუ გვსურს გვყავდეს ჯიშიანი, დაავადებებისადმი გამძლე და მაღალპროდუქტიული პირუტყვი, დროულად უნდა მივმართოთ ხელოვნური განაყოფიერების სერვისებს. სხვა შემთხვევაში, როცა კუროსთან ახლონათესაური შეჯვარება ხდება, გაუმჯობესების ნაცვლად, საქონლის ჯიში უფრო და უფრო კნინდება და შესაბამისად მცირდება მისი მწარმოებლურობა. ყველაფერი ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ძროხებს კურო არ გავაკაროთ და მივმართოთ მათ ხელოვნურ განაყოფიერებას.

ხელოვნური განაყოფიერება მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ არსებული პირუტყვის პროდუქტიული და ჯიშობრივი ხარისხის სრულყოფა და გაუმჯობესება, რაც მაქსიმალურად მოკლე დროში მიიღწევა. ხელოვნური განაყოფიერების სიკეთე რომ უფრო თვალნათელი იყოს, მივმართავთ მაგალითებს: თუ სახორცე მიმართულების ჯიშს ავირჩევთ, ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული თაობა ერთ სულზე გადაანგარიშებით წონამატთან შედარებით მინიმუმ 150-200 კგ-ით მეტ ხორცს, ხოლო მერძეული მიმართულების პირუტყვი მოგვცემს 400-600 ლიტრით მეტ რძეს, ანუ წელიწადში 1000 ლიტრით მეტს. ამასთან, გაიზრდება რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობა, იმატებს საქონლის ცოცხალი წონა და სიცოცხლის უნარიც. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს დააინტერესებს და სურს პრაქტიკაში გამოსცადოს ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სიკეთე, ამ საკითხზე კონსულტაციისათვის, მომართონ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს.

*აკაკი დეკანოზიშვილი,*
***საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი***

ზაფხული და ირიგაცია

# როცა წვიმამ გარეკახელები „დაბვივიწყა“

**გარეკახეთში** გაუსაძლისი გვალვებია. აუტანლად ცხელა. მზის გულზე ერთი კვერცხი არ შეიწვება, თორემ ისე, სადაც სარწყავი წყალი არაა, გადამწვარია ყველაფერი, ნათესები, ბაღ-ვენახები. საგარეჯოსა და სოფლებში დაშრა წყაროები, ისეთებიც კი, რომელთა დაშრობა არავის ახსოვს: „მახია“, „ოსიყმიშვილების წყარო“, თოხლიაურის, წყაროსთავის წყაროები. გაზაფხულის პირიდან დაწყებული გვალვების გამო წელს მიწათმოქმედ ფერმერთა უმეტესობამ მარცვლეულის ძალზე დაბალი მოსავალი მიიღო. ასეთი გვალვები დიდი ხანია არ ახსოვთ მხცოვან ადამიანებსაც კი და მას გასული საუკუნის 70-იანი წლების გვალვას ადარებენ, როცა ვენახების გადასარჩენად კახეთსა და საგარეჯოს რაიონშიც სარწყავ წყალს სარკინიგზო ცისტერნებით ეზიდებოდნენ. თითქოს ხალხის ჯიბრზე წვიმაც აღარ ეღირსა და გარს უვლის ჩვენს სავარგულებს მაშინ, როცა დედაქალაქს რამდენჯერმე ეწვია საკმაოდ ძლიერი წვიმა. ჩვენს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაში გლეხკაცობას რკინიგზით წყალს ვინ მოუმარაგებს., ან სად არის და ვის აქვს ამისი საშუალება?! ამიტომ სადღეისოდ მთელი დატვირთვა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ქსელებზეა.

ეს სარწყავი სისტემა, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩადგა მწყობრში, სამი მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვას ემსახურება — გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს.

რა მდგომარეობაა სადღეისოდ მუნიციპალიტეტში რწყვის საქმეში და რამდენად უზრუნველყოფილია სამელიორაციო სისტემა სარწყავი წყლით, ამის შესახებ ვესაუბრეთ ქვემო სამგორის სამელიორაციო სისტემური სამმართველოს მუშაკებს.

**ზაურ (თამაზ) მელაშვილი,** ***სამმართველოს სათავე-ნაგებობის უფროსი:*** — სადღეისოდ სათავე-ნაგებობა სარწყავი წყლის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. წყალი საკმაო რაოდენობით შეუფერხებლად მოგვეწოდება და მდინარეშიც საკმაოდაა. ორივე არხი, როგორც იტყვიან, გადავსებულია მიდის, უფრო ცხადი რომ იყოს, ვიტყვი, რომ მარჯვენა მაგისტრალურ არხში გაშვებულია 7, ხოლო მარცხენაში 8 $მ^3$-მდე წყალი და არც დაკლებაა მოსალოდნელი უახლოეს ხანებში.

**დავით ზუკაკიშვილი** — ***მარჯვენა მაგისტრალური არხის უფროსი:*** — ჩვენი მაგისტრალური არხი იორსგაღმა მდებარე საგარეჯოს, გიორგიწმინდის და სხვა სოფლების სავარგულების რწყვას ემსახურება. სადღეისოდ სარწყავი წყლის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით და ვერც წყლით მოსარგებლეები დაგვემდურებიან წყლის ნაკლებობაში. წყალს ვაწვდით ყველას, ვინც კი მოგვმართავს და გააფორმებს სათანადო ხელშეკრულებას რწყვაზე. შეგახსენებთ, რომ ჩვენთან 1 ჰა ფართობის მორწყვის ფასი 75 ლარია და შეზღუდული არაა რწყვის ჯერადობა. ჩვენთან რწყვის გადასახადის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ წყალმოსარგებლეს შეუძლია მთელი წლის განმავლობაში იმდენჯერ მორწყას ესა თუ ის ფართობი, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის ამას. ამის საშუალებით ზოგიერთებს უკვე მესამედ და მეოთხედ აქვს მორწყული სიმინდი, მრავალწლიანი ბალახები თუ სხვა ნათესები, ვენახები. ირანელი ინვესტორების ფართობების ჩათვლით, რომელთაც აქვთ საკუთარი სატუმბი სადგური და თანამედროვე დასაწვიმებელი აგრეგატები, ყოველდღიურად მუნიციპალიტეტში საშუალოდ 300-დან 400 ჰა-მდე ფართობი ირწყვება. პარალელურად, იმის გამო, რომ მოშლილია და მწყობრიდანაა გამოსული შიდასამეურნეო ქსელები, ჩვენი ტექნიკით ხდება სარწყავი არხების ზედაპირული წმენდები (გასუფთავება). დაწესებულია სათანადო აღრიცხვაც, რათა ადგილი არ ჰქონდეს წყლის უკანონოდ და უყაირათოდ ხარჯვას.

**ნოდარ ლაფაჩიშვილი** — ***მარცხენა მაგისტრალური არხის უფროსი:*** — წლევანდელი რწყვის სეზონისათვის სამზადისი მაგისტრალურ არხზე ადრიდანვე დაიწყო სათავიდან დაწყებული „ალინჯის“ ტერიტორიამდე, 9 კმ-ზე გაიწმინდა მიწისა და სხვა ნატანებისაგან. რემონტები და აღდგენის სამუშაოები ჩაუტარდა საგარეჯოს, გიორგიწმინდის, თოხლიაურის, მანავის, კაკაბეთის, ბადიაურის და სხვა სოფლების ქსელების წყალგამანაწილებლებსა და გამშვებ ფარებს. ზედაპირული რემონტები ჩაუტარდა და ექსკავატორით გაიწმინდა სხვადასხვა სოფლის — საერთო ჯამში 11 კმ სიგრძის შიდასამეურნეო არხები, სადაც კი ამის საშუალებაა, მოსახლეობას ვეხმარებით მოშლილი და მწყობრიდან გამოსული არხების აღდგენასა და წყლის შეუფერხებლად მიღებაში. უნდა აღვნიშნო ამ უკანასკნელის მდგომარეობის გამო ძალზე ბევრი თავსატეხი და პრობლემა გვიჩნდება, ამიტომ, ვცდილობთ ადგილზევე მოვაგვაროთ. — როგორც ჩვენი სათავე-ნაგებობის უფროსმა ზემოთ საუბარში ახსენა, არხზე მოგვეწოდება 7 $მ^3$-მდე წყალი, რომელსაც ვანაწილებთ როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე, ისე კაჭრეთისა და გურჯაანის რაიონის სხვა მიმდებარე სოფლების სავარგულებზე. იმის გამო, რომ არხთან ახლოსაა მოსახლეობის წვრილ-წვრილი ნაკვეთები და გაძნელებულია წყლის რეგულირება, დღეში საშუალოდ წყალს ვაწვდით და ირწყვება 90-100 ჰექტარი სავარგული — საზამთროს ბაღები, სიმინდი, მზესუმზირა, ვენახები, ბაღები. სადღეისო ჩვენი მთავარი პრობლემა მწყობრიდან გამოსული შიდასამეურნეო ქსელებია, რომელთა გამო მოსახლეობას უჭირს ნაკვეთებამდე წყლის მიყვანა და ადგილი აქვს წყლის დიდ დანაკარგებს. საბედნიეროდ, რამდენადაც ვიცი, ჩვენი ქვეყნის მთავრობა უახლოეს მომავალში აპირებს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას სამელიორაციო მომსახურების გასაუმჯობესებლად და ამ რამდენიმე წელში ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ჩვენს მუშაობაში არსებული პრობლემები. არადა, თუ გავითვალისწინებთ წლევანდელ გვალვას, უყაირათოდ მოსახმარი და დასაკარგი ნამდვილად ერთი წვეთი წყალიც კი არაა.

მარჯვენა მაგისტრალური არხის უფროსთან საუბარში დავით ზუკაკიშვილი გვერთვება: — თუ გაინტერესებთ როგორ უნდა წყალს მომჭირნედ მოხმარება და უხვი მოსავლის სამსახურში ჩაყენება, რა თანამედროვე მოწყობილობებია გამოყენებული ამისათვის, ამის ნახვა ირანელ ინვესტორებთან შეგიძლიათ, სადაც ახლა მივდივარ და თუ სურვილი გაქვთ შემიძლა დაგათვალიერებინოთო. უყოყმანოდ ვეთანხმები და გეზს მარჯვენა მაგისტრალური არხისკენ ვიღებთ. საგარეჯოს რკინიგზის დასახლებიდან მოყოლებული გზის ნაპირებზე არხებში მოჩუხჩუხე ივრის სარწყავი წყალი და მრწყველები გვხვდებიან. ზანტად მიედინება წყალი პირამდე გავსებულ მაგისტრალურ არხში. სიცხით გადატრუსულ მიდამოში მწვანე მასივებად მოჩანს მორწყული ნაკვეთები.

— თავის შეწუხება არავის უნდა და ყველა, სადაც მოუნდება იქ აზიანებს არხებს და გზებსაც,— გულისწყრომას ვერ მალავს ამ გზაზე ალბათ მეათასედ მიმავალი არხის უფროსი. — ჩაამტვრევენ და დააზიანებენ არხს, მორწყავენ მიწას და არც კი ფიქრობენ, რომ ამით სხვებს ზიანს აყენებენ. „ტალახაში“ კი ადგილები რომ მორწყეს, შემდეგ წყალს უპატრონდ მიანებეს თავი. იქ ადგილი ისედაც ჭაობიანი იყო, მიშვებულმა წყალმა უფრო დააჭაობა, ამის გამო ჩაეფლო არხის გაწმენდაზე მომუშავე ექსკავატორი.

საგარეჯოს ცენტრში ამოსულები არხის უფროსს ერთი ფიქრით ვემშვიდობები: მაინც რანი ვართ ეს ქართველები, ჩვენი ხელით ვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვზივართ და არაფრად გვანაღვლებს, თუ რა მოჰყვება სახვალიოდ ჩვენს დღევანდელ უგუნურ მოქმედებას. ნუთუ ისრაელსა თუ სხვა ქვეყნებში ასე უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან, გაძარცვავენ, დაანგრევენ, და გააპარტახებენ საირიგაციო ქსელებს, ასე უყაირათოდ მოიხმარენ თუნდაც წვეთ წყალს, როგორც ჩვენთან?

*გ. დაბახიშვილი*



**კალდოს სათავე ნაგებობა, საიდანაც სარწყავი წყალი მიეწოდება ზემო სამგორის სარწყავ სისტემას და თბილისის ზღვას.**

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში

ჯანდაცვა

# „იქნება საუკეთესო პირობები პროფესიული განვითარებისათვის“

***„ჯანდაცვა უნდა იყოს ის სფერო, სადაც ჩვენი თანაქალაქელები თავს დაუცველად აღარასოდეს იგრძნობენ, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა პაციენტებს ჰქონდეთ მაღალი კლასის მომსახურება; თქვენ, ექიმებს კი, ყველა პირობებს შეგიქმნით, რათა მუდმივად გქონდეთ საუკეთესო პირობები პროფესიული განვითარებისათვის. მისია, რომელიც გაკისრიათ, უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლოა, ხოლო ჩვენ, ჩვენი მხრიდან, მაქსიმალურად შეგიწყობთ ხელს, რათა თქვენი პროფესიით ღირსეულად იცხოვროთ!“ – თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ექიმებთან შეხვედრისას.***

**მართლაც**, მისია, რომელიც ექიმებს ეკისრებათ, საპატიო და საპასუხისმგებლოა. მათგან უმეტესობამ ჰიპოკრატეს ფიცი სწორედ მაშინ დადო, როცა შენდებოდა, ერთმანეთს ემატებოდა საავადმყოფოები, სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტები, სასოფლო-საექიმო ამბულატორია-საავადმყოფოები, სადაც პაციენტებს უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო მედიკამენტოზური მკურნალობა, უფასო კვება ჰქონდათ. ამდენად, მართლაც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ექიმები სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი ექიმები „ცარიელი ხელებით“ აღმოჩნდნენ დუხჭირი ცხოვრებით მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის წინაშე – უშუქობა, უხელფასობა და მის პირდაპირპროპორციულად უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები – ათობით, ასობით, ათასობით. და სასოებით შეჰყურებდნენ ლამპის თუ სანთლის შუქზე მომუშავე ექიმებს, იმედით ადევნებდნენ თვალყურს მათ თითოეულ მოძრაობას და როცა საქმე მედიკამენტებზე მიდგებოდა, თითქოს აქაც ექიმი იყო „ვალდებული“... ახლაც რომ შეეკითხოთ, თავადაც უკვირთ, როგორ ახერხებდნენ პროფესიონალიზმთან ერთად ქველმოქმედებას, თავიანთი სახსრებით შეძენილი მედიკამენტებით „ჰუმანიტარული დახმარებების“ გაწევას?! ბევრს ახლაც ახსოვს, ექიმის მიერ საკუთარი სახლიდან მოტანილი შაქრის ფხვნილი, ჩაი, პური, სადილი, მაშინ, როცა ექიმის ხელფასიც ისევე იყო „გაყინული“, როგორც ყველა პედაგოგის და პენსია – პენსიონერის. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას წლები დასჭირდა. ამ წლებმა ბევრი ექიმის ნერვული სისტემა, ჯანმრთელობა შეიწირა, თუმცა, მავანისთვისაც რომ გეკითხათ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო – ექიმი ყოველთვის ვალდებულია ემსახუროს ხალხს, მას ხომ „ჰიპოკრატეს ფიცი“ აქვს დადებულიო?!

სწორედ წუთისოფლის ამ მძიმე ქურაში გამოიარა ***ყანდაურის საექიმო ამბულატორიის ექიმმა***, ყანდაურელების და არა მარტო მათთვის საყვარელმა ექიმმა ქ-ნმა **დიანა პავლიაშვილმა**,



დიანა პავლიაშვილი

რომლის ფესვები კაკაბეთიდანაა. პაპამისი 14 წლისა წასულა თბილისში სამუშაოდ და იქ დარჩენილა. იქ დაიბადა დიანას მამა და თავად დიანაც. 1964 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით „მშობლიურ სოფელში“ მოხვდა. სიყვარულით მიიღეს კაკაბელებმა ახალბედა ექიმი. დედამისი – ანა ჭაჭიაშვილი ექიმი იყო, აქ კაკაბეთში იმუშავა სამი წელი 1941-44 წლებში, ასე, რომ ბევრი კარგად იცნობდა მათ ოჯახს.... სულ ერთ წელში კი თავისი ბედი ყანდაურელ



ყანდაურის საექიმო ამბულატორია

ელგუჯა აბესაძეს დაუკავშირა, რომელიც მაშინ კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის მდივანი იყო – სპეციალობით აგრონომი. უფრო მეტი სიყვარულით მიიღეს ყანდაურელებმა დიანა ექიმი – ყურადღებიანი, სათნო, პროფესიონალი პიროვნება, რომელიც სიყვარულთან ერთად ეიმედებოდათ და ენდობოდნენ. ასე განვლო დღემდე თავისი ცხოვრება ქალბატონმა დიანამ, რომელსაც სამი შვილი და უკვე 10 შვილიშვილი ჰყავს.

დიანა ექიმს ბევრი კარგი რამ ახსენდება თავისი 50 წლიანი მოღვაწეობით. 4000 ადამიანს ემსახურებოდნენ გასული საუკუნის 60-იან წლებში ქალბატონი დიანა და ექიმი ალბერტ სარქისოვი. აქ, ყანდაურაში სოფლის საავადმყოფო 15 საწოლზე იყო, აქედან 3 საწოლი სამშობიაროს ეკუთვნოდა, სადაც დიანა ექიმის დედამთილი ექთნად მუშაობდა. ისინი 5 სოფელს: ყანდაურას, ზემო ყანდაურას, ბადიაურს, ბოგდანოვკას და შიბლიანს ემსახურებოდნენ. იყო შემთხვევები, როცა უტრანსპორტობის გამო ზემო ყანდაურიდან ექიმი და ექთანი ფეხით გადადიოდნენ შიბლიანში. ძალიან რთული იყო, მაგრამ იყო იმედი უკეთესი მომავლის, იყო ხალისი, თბილი ურთიერთობა. ხალხი ასე არ იყო გაჭირვებული. 1974 წელს აღნიშნული ამბულატორია-საავადმყოფო დაიხურა, 1984 წელს კი ბადიაურის სამედიცინო პუნქტი ცალკე გამოეყო.

არც 90-იანი წლები იყო დალხინებული. პირიქით, უშუქობა, ეკონომიური გაჭირვება უამრავი ადამიანის ნერვულ სისტემაზე მოქმედებდა და თითქმის ყველას სჭირდებოდა ექიმი – არა მარტო როგორც მკურნალი – თერაპევტი სპეციალისტი, არამედ, როგორც ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, მომრიგებელი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ყოფიერებასთან. წამალი არ იშოვებოდა, მაგრამ კვარტალში 30 მანეთს აძლევდნენ საექიმო ამბულატორიებს – ექიმს აუცილებელი მედიკამენტები მაინც ჰქონოდა ადგილზე. მაგრამ, საყოველთაო გაჭირვებას 30 მანეთის წამალი არ ჰყოფნიდა. მაშინ დიანა ექიმი იყო „წამალიც“ და მისი თანხებით შეძენილი მედიკამენტებიც მკურნალი. დღეს გულისტკივილით იხსენებს, რომ ადრე ხუთივე სოფელში 1200 ბავშვს ემსახურებოდნენ, ახლა?!

დღეს დიანა ექიმი ყანდაურის საექიმო ამბულატორიის ექიმთან მაია ჯიმშელაძესთან და ექთნებთან ხათუნა ჯავახიშვილთან და ლია ხუციშვილთან ერთად ემსახურება ყანდაურელებს და ზემო ყანდაურელებს. ახლა სამედიცინო მოსახურების სხვა სისტემაა, სხვა მეთოდები, რომლებსაც მოსახლეობა ნელ-ნელა ეჩვევა.

**გომბორის** ამბულატორია-საავადმყოფო გასული საუკუნის 70-80-იან წლებში 15 საწოლზე იყო გათვლილი. აქ სამშობიარო პალატა 3 საწოლზე იყო. – ხშირად საავადმყოფოში 20-22 ავადმყოფიც გვყოლია ერთდროულადო, –



ნათელა სკვარცოვა და თამარ ბაღიაური

იხსენებს ექიმი **ნათელა სკვარცოვა-ბაღიაური.** ქალბატონი ნათელა თავად გომბორელია, სკოლის დამთავრების შემდეგ ციმბირის ქალაქ ჩიტის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა 1979 წელს ექიმი გინეკოლოგის სპეციალობით. 1981 წელს კი გომბორში დაბრუნდა მეუღლითა და ორი ვაჟით. მას შემდეგ გომბორისა და კოჭბანის თემის მოსახლეობის სამსახურშია. მასთან ერთად დღეს მოსახლეობას ექთანი თამარ ბაღიაური ემსახურება. სოფლის საექიმო ამბულატორია დღეს გომბორის ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. აქვეა ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაცია (II სართულზე) და სასწრაფო სამედიცინო დახმარება.



სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი თენგო მამარდაშვილი, მეღდა მარიამ გოგოლაძე და მძღოლი ზაზა კურდღელაშვილი

**გომბორისა და კოჭბანის** თემის მოსახლეობას სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები ყოველდღიურად, 24 საათიანი მუშაობის რეჟიმში ემსახურებიან. 24 საათში აქ შეიძლება 5-დან 15-მდე გამოძახება მიიღონ მედიკოსებმა.



მარინა წოწკოლაური



ექთანი ციალა გოჯიტაშვილი

**უჯარმის საექიმო ამბულატორია** ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის I სართულზეა. აქაურთა ჯანმრთელობის დაცვას ოჯახის ექიმი **მარინა წოწკოლაური** და ექთანი **ციალა გოჯიტაშვილი** ემსახურებიან. ქ-ნი მარინა გომბორიდანაა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ გომბორს დაუბრუნდა ექიმად, მალე კი ოჯახი უჯარმელ მირიან დოღონაძესთან ერთად შექმნა და ახლა უჯარმელების საყვარელი რძალი და ექიმი გახდა. ქ-ნი მარინა 25 წელია უჯარმელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელია. საუბარში თბილად იხსენებს თავის ყოფილ პაციენტებს და დღევანდელებსაც. გული შესტკივა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. – აქ იზრდებიან სასკოლო ასაკამდე ბავშვები, მთელ ჩემს გამოცდილებას და სიყვარულს ვდებ მათ გაზრდასა და ჯანმრთელობაში, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ შემდეგ სწავლის მისაღებად და საერთოდ ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მშობლებს ისინი რუსთავში, თბილისში გადაჰყავთ საცხოვრებლად, – მეუბნება ქ-ნი მარინა, – არის შემთხვევები, როცა აქაური სხვაგან იმშობიარებს, მაგრამ დედასთან მოდის ბავშვის გაზრდაში მისახმარებლად. 1 წელი მიხდება ამ ბავშვის მეთვალყურეობა, შემდეგ კი



კაკაბეთის ამბულატორია



ქეთი გიგილოშვილი

მიჰყავთ თავის ოჯახში. რაღაცნაირი გრძნობით ვრჩები ასეთ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ბევრი ბავშვი იყოს სოფელში, სკოლაც აჟრიამულებული იქნება და ჩვენც სოფლის მომავლის იმედი გვექნება.



ნელი ჯაფოშვილი

**კაკაბეთის საექიმო ამბულატორია** ერთსართულიან კეთილმოწყობილ შენობაშია განთავსებული. ეს შენობა 2003-2004 წლის პროექტით აშენდა იმ 15 საექიმო ამბულატორიასთან ერთად, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სისტემას შეემატა. 4000 კაკაბელს აქ მათთვის საყვარელი ექიმები **ქეთი გიგილოშვილი** და **ნელი ჯაფოშვილი** ემსახურებიან. ისინი ამ შენობაში 2007 წელს გადმოვიდნენ. ქეთი ექიმმა 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და კაკაბეთში ოჯახის შექმნის შემდეგ – 1992 წლიდან მოვიდა საცხოვრებლად. მეუღლე – ლექსო კვეზერელი პროფესიით ქირურგია. ნელი ექიმმა კი კაკაბელ თემურ ოქრომჭედლიშვილს 1981 წლიდან დაუკავშირა ბედი და მას შემდეგ კაკაბელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია. უყვარს სოფელს და აფასებს ორივე მკურნალს, რომელთათვისაც



ნანა კოხტაშვილი

დასასრული მე-5 გვერდზე

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში

ჯანდაცვა

# „იქნება საუკეთესო პირობები პროფესიული განვითარებისათვის“

დასასრული


უდაბნოს საექიმო ამბულატორია

დღევანდელ სიტუაციაში ალბათ მართლაც ძნელია 2000-2000 ადამიანის ჯანმრთელობის მეთვალყურეობა.

**უდაბნოს საექიმო ამბულატორია** იმ 82 ამბულატორიის სიაშია, რომლებიც სენდვიჩპანელის სახით ამბულატორიის შენობად გაკეთდება. მიმდინარე წლის მაისში აქ ეს პროცესი განხორციელდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით აქ საძირკველი ჩაეყარა ამბულატორიის შენობას, რომელზედაც დაშენდა შემდეგ შენობა და უდაბნოელებს ემსახურება. აქ სამი სამუშაო ოთახია და მეოთხე საპირფარეშო. ამბულატორია აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და გამათბობლებით.

უდაბნოელებისათვის ეს შენობა მართლაც რომ დიდი საჩუქარია, რადგან აქ საექიმო ამბულატორია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თითქმის აღარ არსებობდა. ოჯახის ექიმს ნანა კოხტაშვილს 6 წლის მანძილზე აქ მართლაც რომ კარდაკარ სიარული უწევდა (თუმცა ახლაც მძიმე ავადმყოფებთან და მოხუც ადამიანებთან სახლში უხდება მისვლა), სოფელში არ მოიძებნებოდა ადგილი, რომელსაც საექიმო პუნქტად გამოიყენებდნენ. არადა, გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ უზარმაზარი საექიმო ამბულატორია იყო თავისი კაბინეტებითა და ლაბორატორიით...

დღეს ოჯახის ექიმი **ნანა კოხტაშვილი** და ექთანი **ანგელინა გურჩიანი** დიდი სითბოთი და პროფესიონალიზმით ემსახურებიან 850 უდაბნოელს. ნანა ექიმის საექიმო გამოცდილება უკვე 15 წელიწადს ითვლის. იგი ჩაილურელ მოსახლეობას წლების განმავლობაში ემსახურებოდა, შემდეგ იყო მოზარდთა კაბინეტის ექიმი საგარეჯოს რაიონულ პოლიკლინიკაში და დღეს მხოლოდ უდაბნოელებს არ ეიმედებათ – ნანა თავისი ოჯახით სოფელ ბოგდანოვკაში ცხოვრობს და ამდენად, თანასოფლელთათვის გაჭირვების დროს თავის ენერგიას და და გამოცდილებას არ იშურებს.

**შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის იორმუღანლოს პოლიკლინიკა** (მენეჯერი ბაშირ მახმუდოვი) უზარმაზარ შენობაშია განთავსებული. ბაშირ მახმუდოვს 38 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს. იგი ჯერ საგარეჯოს სანეპიდსადგურში მუშაობდა სანიტარულ ექიმად 10 წელი, 1983 წლიდან კი იორმუღანლოს ექიმია. იორმუღანლოს პოლიკლინიკა შპს „საგარეჯოს მულტიპროფილური კლინიკა „ჯეოჰოსპიტალს“-ის ბაზაზეა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სექტორის ყველა თემში შემავალი სოფლების მოსახლეობას ემსახურება. კონტიგენტი ძალზე დიდია, მაგრამ მათ მომსახურებას კარგად უძღვებიან ოჯახის ექიმები: თამილა დათუნაშვილი (მენეჯერის მოადგილე), რომელსაც 38 წლის სამუშაო სტაჟი აქვს, მათგან 14 აზერბაიჯანული სექტორის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში,. ნონა ხუციშვილი, ალიმ მირზალიევი, გულნარ აბდულაევა.

პოლიკლინიკაში ასევე ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კაბინეტი – ექიმი სადი იბრაგიმოვი.


ბაშირ მახმუდოვი


იორმუღანლოს პოლიკლინიკა


სადი იბრაგიმოვი


თამილა დათუნაშვილი


ნონა ხუციშვილი


ექიმი ალიმ მირზალიევი და მედიცინის და ნაზი ალიევა

კეთილმოწყობილი საექიმო ამბულატორიები ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოებშიც არის. მაგრამ, ზოგან ჯერაც „კომუნისტების დროინდელი შენობები ემსახურება ჯანდაცვის სფეროს. ასეთებზეც გვექნება საუბარი უახლოეს ნომრებში...

## სახელმწიფო პროგრამა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად

# მშობიარობა უფასოა — შედეგი?!

„ჩვენი გუნდის პირველადი სტრატეგია, ფაქტობრივად „გადარჩენის სტრატეგია“ იყო. იმ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, რომელიც დაგვხვდა, აუცილებელი გახდა, რაც შეიძლება მოკლე ვადებში გაგვეტარებინა რეფორმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს დაიცავდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და უბედური შემთხვევისას უსახსრობის გამო ლეტალური შედეგისაგან. მთავარი იყო, მკურნალობის საფასურის გადახდას პაციენტის ოჯახი არ გაეღატაკებინა“ _ ასე შეაფასა წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

მართლაც, სულ მალე ჯანდაცვის სისტემა საყოველთაო ჯანდაცვის მოდელზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების სამ ბლოკს კიდევ სამი ბლოკი დაამატა და დღეს საქართველოს მოქალაქეები პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული მომსახურებით, გადაუდებელი ამბულატორიული დახმარებით, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებით, გეგმიური ქირურგიული ოპერაციებით, ონკოლოგიური დაავადების მკურნალობით, მშობიარობის დაფინანსებით სარგებლობენ.

საქართველოს მთავრობამ პირველი ნაბიჯი გადადგა დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად და საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში, მოქალაქეებს მშობიარობა უფინანსდებათ 500 ლარით, ხოლო საკეისრო კვეთა _ ექიმის ჩვენებით 800 ლარით. ასევე, 2014 წლიდან გაიზარდა დეკრეტული შვებულების ვადა 4-დან 6 თვემდე და დაფინანსება 600-დან 1000 ლარამდე. ზემოჩამოთვლილი შეღავათები არ არის უმნიშვნელო ისეთი ქვეყნის მოსახლეობისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც დემოგრაფიული მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშოა. საინტერესოა, ჩვენი ქვეყნის მთავრობის ეს სასიკეთო ნაბიჯი როგორ აღიქვა თვად მოსახლეობამ, როგორ მიიღო უფასო მშობიარობის მართლაცდა უმნიშვნელოვანესი საჩუქარი? სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად ვეწვიეთ საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილი #15-ში მდებარე შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მულტიპროფილურ კლინიკას და საგარეჯოში, ჭავჭავაძის ქ. #3-ში მდებარე მინიპროფილურ კლინიკა „Life„-ს.

**შპს *„ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მულტიპროფილური კლინიკის მენეჯერი* კოტე ბრძელიძე:** მთავრობის მიერ დასახული დემოგრაფიული პროგრამა, რომელიც გასული წლიდან ამოქმედდა, მართლაც რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროგრამით ჩვენს კლინიკაში შიდა სტანდარტებით მშობიარობა 500 ლარია, რასაც მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. რაც შეეხება საკეისრო კვეთას, აქ შიდა სტანდარტებით ექიმის ჩვენებით საკეისრო კვეთა 900 ლარია, საიდანაც მშობიარე მხოლოდ 100 ლარს იხდის, 800 ლარი კი სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება. მინდა გითხრათ, რომ უფასო მშობიარობის პროგრამის ამოქმედებით საგრძნობლად გაიზარდა მშობიარეთა რიცხვი. ჯერ მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში 230-ზე მეტი ბავშვი დაიბადა, ხოლო საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებიდან გასული წლის თებერვლიდან დღემდე – 600 ბავშვი. ისე კლინიკის ამოქმედებიდან (2011 წლის ნოემბერი) დღემდე ჩვენს კლინიკაში 1317 ბავშვი დაიბადა. ვფიქრობ, რომ შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან და საერთოდ, რეგიონიდან არც მშობიარეს და ავადმყოფს სხვა მუნიციპალიტეტისა და თბილისის კლინიკებში არ დასჭირდეთ წასვლა სათანადო სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ჩვენს კლინიკას საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობა გადმოგვცა, სადაც განთავსდება სტაციონარი – რეანიმაციული, თერაპიული მიმართულებებით, ამბულატორია. კლინიკის დღევანდელ შენობაში დარჩება ქირურგიული და სამეანო-გინეკოლოგიური მიმართულებები. რაც შეეხება უფასო მშობიარობის საკითხს, ჩვენთან ასევე უფასოა მშობი-

*დასასრული მე-6 გვერდზე*


ნეონატოლოგი ლილა ოდიკაძე


ნეონატოლოგი ნანა რევაზიშვილი


გია ჩალათაშვილი

როგორც კლინიკა „Life~-ს ხელმძღვანელებმა ბ-ნმა **გია ჩალათაშვილმა** და ქალბატონმა **ნესტან ურდულაშვილმა** გვითხრეს, კლინიკის გახსნის დღიდან 2011 წლის 26 ნოემბრიდან დღემდე აქ 882-მა ქალმა იმშობიარა. აქედან, 478-მა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივლისამდე. ე.ი. ჯანდაცვის სისტემის საყოველთაო ჯანდაცვის მოდელზე გადასვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში.

– მშობიარეთა რიცხვის ზრდა ახალი მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმამ და საქართველოს ახლანდელი შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრის სწორმა პოლიტიკამ გამოიწვია. როგორც ცნობილია,

*დასასრული მე-6 გვერდზე*

## სახელმწიფო პროგრამა
## დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად

# მშობიარობა უფასოა — შედეგი?!

**დასასრული**



ექიმი ლინა ქურთიშვილი

არეთათვის მშობიარობამდე ადმინისტრაციული ხარჯები და მშობიარობის შემდგომიც: რეგისტრაცია, ანკეტის გახსნა, რიგი ლაბორატორიული კვლევები (როგორც მშობიარის, ასევე ახალშობილის), დაბადების მოწმობის ასაღებად საჭირო დოკუმენტაციის აღება. მშობიარეს მშობიარობის პროცესისათვის თავისი სურვილისამებრ შეუძლია აიყვანოს მისთვის სასურველი ექიმი მეან-გინეკოლოგი. (მშობიარეს მიერ აყვანილი ექიმის შემთხვევაში მშობიარე სამშობიარო თანხის დასაფარავად ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს 150 ლარს იხდის (შესაბამისად, სამშობიარო თანხის 500 ლარს კი სახელმწიფო ანაზღაურებს) ხოლო საკეისრო კვეთის დროს მშობიარე იხდის 200 ლარს (საკეისრო კვეთისთვის დადგენილ 900 ლარიდან 800-ს სახელმწიფო ანაზღაურებს). სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი ჩვენთან ლევან ტიგინაშვილია, სამშობიაროს ექიმები არიან და მშობიარობას იღებენ ასევე: ირაკლი ჩხიკვიშვილი, ლინა ქურთიშვილი, ნონა ღვინაშვილი, ნათია ბუზარიაშვილი. რაც შეეხება ანესთეზიოლოგებს, აქ არიან ექიმი ანესთეზიოლოგები: დათო ლალიაშვილი (ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგიის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების



ექიმი ნონა ღვინაშვილი ტოკოკარდიომონიტორით ისმენს ნაყოფის გულის ცემას

(„ემერჯენსის“) მიმართულების ხელმძღვანელი, ილია ოქროჯანაშვილი, თამუნა ფანოზიშვილი, პალიკო კაკაურიძე, თეა აღდგომელაშვილი, რომელთაც აქ 24 საათიანი მორიგეობა აქვთ. ბებია ექთნები არიან: ლია ჯავახიშვილი, თინა როსტომაშვილი, მედეა ბუბუნაშვილი, თეა ხაბაზიშვილი. მშობიარის მოთხოვნისდა მიხედვით ჩვენთან მშობიარობა შეიძლება სპინალური



ლუქსბლოკის სამშობიარო მაგიდა

ეპიდურული გაუტკივარებით. გვაქვს ადგილზე „სისხლის ბანკი“ ყველა ჯგუფის და რეზუს ფაქტორის სისხლით.

სამეანო-გინეკოლოგიურ სამსახურში არის ორი ლუქს-ბლოკი, სადაც შეიძლება მშობიარემ იმშობიაროს და 2 დღე-ღამის განმავლობაში გაჩერდეს ახლაშობილთან ერთად. აქ არის კარდიოტოკოგრაფი, ჟანგბადის ცენტრალიზებული წყარო, სველი წერტილები, ცხელი წყალი, ახალშობილის სარეანიმაციო მაგიდა.

მშობიარეთა სამსახურშია ულტრათანამედროვე მოწყობილობა ვაკუუმ-ექსტრაქტორი იმ შემთხვევისათვის, თუ მშობიარობა გაძნელებულია. საკეისრო კვეთის ოპერატორები არიან ლევან ტიგინაშვილი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი ჩხიკვიშვილი. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი კლინიკა მულტიპროფილურია და ამდენად, ყველა პროფილის ექიმი მზად არის დაეხმაროს მშობიარეს მშობიარობის შემსუბუქებაში, მშობიარობის წარმატებულად მიღებაში. დღე-ღამის ნებისმიერ დროს საჭიროებისას 24 საათის განმავლობაში ადგილზე არიან ქირურგიული და ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგიური მიმართულების ექიმები, მათ შორის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი გივი ცეცხლაძე. (ასევე საჭიროებისას ხდება გამოძახება: მამუკა ნემსაძის, – „ჯეოჰოსპიტალს“-ის ქსელის სამეანო-გინეკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის), რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგები ილო ოქროჯანაშვილი, – (თბილისის ინგოროყვას სახელობის კლინიკის წამყვანი სპეციალისტი), პალიკო კაკაურიძე – (თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს წამყვანი სპეციალისტი), თეა აღდგომელაშვილი – (თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს წამყვანი სპეციალისტი), დათო ლალიაშვილი, თამარ ფანოზიშვილი. ასე, რომ „ჯეოჰოსპიტალს“-ის სამეანო-გინეკოლოგიური მიმართულების მშობიარეზე მხოლოდ 24 საათიანი ამავე მიმართულების მორიგე პერსონალი როდი ზრუნავს.

სამეანო და გინეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში კლინიკის თითოეული თანამშრომელი მობილიზებულია დასახმარებლად. ასე, მაგალითად, ორიოდე დღის წინ აქ ტყუპებს ველოდებოდით და ამ მოლოდინის რეჟიმში კლინიკის თითქმის ყველა მიმართულების ექიმი იყო – რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ერთი გუნდია.

რაც შეეხება მელოგინის შემდგომ მოვლას, „ჯეოჰოსპიტალს“-ის კლინიკაში მელოგინისათვის დღეში სამჯერადი კვება უფასოა, უფასოა: ახალშობილის კვება, მოვლის საშუალებები (მათ შორის პამპერსი), ასევე 24 საათიანი მომსახურების რეჟიმშია მათთვის ლაბორატორიული კვლევები.

კლინიკაში საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს მომავალ დედებთან ანტენატალური მეთვალყურეობის და ორსულთა მეთვალყურეობის (ქალთა კონსულტაცია) კაბინეტის ექიმები ლინა ქურთიშვილი და ლევან ტიგინაშვილი, სადაც ქალბატონებს ეხმარებიან ოჯახის დაგეგმვასა და ორსულობის პერიოდში საჭირო კონსულტაციების მიღებაში.

**ლეილა ოდიკაძე**: – ***ნეონატოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი:*** დაბადების შემდეგ ახალშობილი დედასთან რჩება. მას უტარდება სკრინინგი ფენილკეტონურიაზე, ჰიპოთირეოზზე, მუკოვისციდოზზე, რომელთა დროულ გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის დროულად დაწყებისათვის. ამასთან, დაბადებისთანავე, ვუგზავნი მესიჯს ოჯახის (სოფლის) ექიმს ახალშობილის მონაცემებით. ასევე, იმ პრობლემის შესახებ, თუ ახალშობილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აქვს. შემდეგ დღეებში კი საერთო მდგომარეობის შესახებ.

თუ ახალშობილი საჭიროებს სპეციფიურ კვლევას ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მისი თბილისში გადაყვანის საჭიროება აღარ არის, რადგან ჩვენ ადგილზე გვაქვს ახალშობილთა ინტენსიური პალატა, სადაც გადაგვყავს ახალშობილი და ვაწარმოებთ დაკვირვებას ან ვუტარებთ ინტენსიურ მკურნალობას. ადგილზე გვაქვს ფოტოთერაპიის აპარატი. მას ვიყენებთ ახალშობილთა ჰიპერბილრუბინემიის (სიყვითლე) დროს. ეს ხდება როცა დედისა და ახალშობილის სისხლის ჯგუფი ან რეზუსფაქტორი შეუთავსებელია. გვაქვს ასევე, მართვითი სუნთქვის აპარატი (ბებილოკი), რომელსაც ვიყენებთ დღენაკლული ან ავადმყოფი ახალშობილის ადექვატური სუნთქვისათვის. გვაქვს კიუვეზი – ინკუბატორი – დღენაკლული ბავშვებისათვის.

მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად ახალშობილებს მიმართულების ნეონატოლოგები მაია ჩერქეზიშვილი, იანა ცხვარიაშვილი და თამარ კუჭუაშვილი, მედიცინის დები: ლალი ჭიაურელი, მანანა როჭიკაშვილი, ნანა ბილანიშვილი და ციცო დარისპანაშვილი ემსახურებიან.

**დასასრული**

გაუქმდა კერძო დაზღვევა, რომლის მიხედვითაც მშობიარეც და საერთოდ, მოქალაქეც იძულებული იყო მისულიყო იმ კლინიკაში, რომლის მომსახურების თანხებსაც მისი დამზღვევი კომპანია აუნაზღაურებდა. ახლა ეს მონოპოლიური სისტემა მოისპო, საყოველთაო დაზღვევამ მშობიარესაც და ავადმყოფსაც მისცა საშუალება – მიაკითხოს იმ კლინიკას, აირჩიოს ის ექიმი, რომელიც თავად უნდა; რომელთანაც სამედიცინო მომსახურების დონეს, შესაძლებლობებს თავის მოთხოვნებთან შესაბამისად მორგებულად მიიჩნევს, – მეუბნება ბ-ნი გია.

– ჩვენი კლინიკის შიდა სტანდარტით ფიზიოლოგიური მშობიარობა 550 ლარია, აქედან მოგეხსენებათ 500 ლარს სახელმწიფო აფინანსებს, განსხვავებულ თანხას – 50 ლარს მშობიარე იხდის, – მეუბნება ქ-ნი ნესტანი, – რაც შეეხება საკეისრო კვეთას, სამედიცინო ჩვენებით ჩვენი შიდა სტანდარტებით 950 ლარია, საიდანაც 800 ლარს სახელმწიფო უფინანსებს მშობიარეს, 150 ლარს კი თავად ამატებს. რაც შეეხება პირადი მოთხოვნით საკეისრო



ოპერაციისშემდგომი პალატა

კვეთას, სახელმწიფო მხოლოდ 500 ლარით აფინანსებს მშობიარეს.

კლინიკაში სამეანო განყოფილების სამსახური (***უფროსი*** **მამუკა ხოშტარია)** შენობის მესამე სართულზეა განთავსებული. აქ არის სამეანო-საოპერაციო, ოპერაციის შემდგომი ოთახი, ორი სამშობიარო ბლოკი, მშობიარეზე გაშლილი 9 საწოლი. სამშობიარო ბლოკში ტოკოკარდიომონიტორი მშობიარობამდე ნაყო-



ექიმი ტასიკო ცხვარიაშვილი და ექთანი ლია ბეჟიტაშვილი ახალშობილის გაცილებისას



ტყუპები



ექიმი ლევან როსტიაშვილი

ფის გულისცემას ისმენს და აფიქსირებს, რაც უადვილებს სამსახურის ექიმებს ტასიკო ცხვარიაშვილს, ლევან როსტიაშვილს, ანა ბალახაშვილს, ნინო სართანიას წინასამშობიარო პროცედურების ნორმალურად ჩატარებას. სამშობიარო ბლოკშივე მოწყობილი ბავშვთა რეანიმაციის კუთხე უფრო მეტად უადვილებს ნეონატოლოგებს ნანა რევაზიშვილს, იანა ცხვარიაშვილს, თამარ კუჭუაშვილს ახალდაბადებულთან ურთიერთობას.. მეან-გინეკოლოგებს პროფესიული გამოცდილებით გვერდში უდგანან ბებია-ექთნები ლია ბეჟიტაშვილი (სამსახურის უფროსი ექთანი), ნინო მეხაშიშვილი, ნინელი ბასიშვილი, თამილა რევაზიშვილი, ხოლო ნეონატოლოგებს ექთნები: თამილა ივანელაშვილი (უფროსი ექთანი), მანანა ღვინაშვილი, ლია შაქარაშვილი, ლია ლაფაჩიშვილი, თინა მეხაშიშვილი, სანიტრები: მარინა სეფისკვერაძე, ნინო ბეჟანიშვილი, ლალი დარისპანაშვილი, დიასახლისი მაყვალა მეზვრიშვილი.

კლინიკის ქალთა კონსულტაციის ექიმი გინეკოლოგები მამუკა ხოშტარია, ლევან როსტიაშვილი და ტასიკო ცხვარიაშვილი, ექთანი თამილა კოხტაშვილი ორსულებს მთელი ორსულობის განმავლობაში ყურადღებით აკვირდ-



კლინიკა Life-ს ხედი ამოსავლეთიდან

ებიან, უტარებენ საუბრებს, კონსულტაციებს, ამზადებენ მომავალი დედობისათვის.

„Life“-ში ჩემი სტუმრობისას აქ დაბადებულ ხაშმელ ელისაბედ მამუჩიშვილს სახლში აცილებდა პერსონალი. ელისაბედის დედამ იამზე ჯავარაშვილმა ემოციები ვერ დამალა და მითხრა: – 37 წლის ვარ და პირველი შვილის დაბადებიდან 17 წლის შემდეგ ელისაბედი შემეძინა. ძალიან დიდი იყო მოლოდინი მეორე შვილის, მქონდა განცდები, შეუცნობელი შიშიც კი. ჯერ თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროს მივაკითხე – ძალიან უხეშად, უყურადღებოდ შემხვდნენ, რამაც იძულებული გამხადა სხვა სამშობიარო მომეძებნა. ჩემი მეულის რჩევით აქ მოვედი. მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან თბილად, ყურადღებით მომექცა ყველა. მადლობა მათ ასეთი გულთბილი, ადამიანური, ყურადღებიანი დამოკიდებულებისათვის. ტასიკო ექიმმა ისე შემიმსუბუქა სამშობიარო ტკივილები, რომ სიხარულის გარდა არაფერი მიგრძვნია.

## სპორტი

# ჩვენი სამბისტი უშანგი კუზანაშვილი ძიუდოშიც პირველობს



**ცნობილი** კაკაბელი ფალავნის სამბოში მსოფლიოს ორი და ევროპის ხუთგზის ჩემპიონის **უშანგი კუზანაშვილის** სპორტული წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი და აღიარებული. ცნობილია ისიც, რომ მან ამ რამდენიმე წლის წინ თავისი ძალები ძიუდოშიც მოსინჯა და დამწყები სპორტსმენისათვის შესაშურად, არც თუ ისე ურიგოდ, თანაც თავის ჩვეულ, 52 კგ-ზე მაღალ წონაში.

14 ივლისს ბელგიაში სტარტი აიღო ევროპის პოლიციელთა და მეხანძრეთა სპორტულმა თამაშებმა, რომელშიც საქართველოს ღირსებას უშანგი კუზანაშვილი იცავდა. ბელგიის ტატამზე ჩვენებური ფალავანი უძლიერესი იყო 66 კგწონით კატეგორიაში. მან ევროპის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი რუს მეტოქეს დაათმობინა.

აქვე აღსანიშნავია ისიც,რომ ამავე ასპარეზობაში ქართველ სპორტსმენ პოლიციელთა რიგებში ასპარეზობდა მეორე „გაძიუდოისტებული“ სამბისტი **ნოდარ მჭედლიშვილი**, რომელიც ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში, ჰოდა, მოდი ამის შემდეგ ვინმე დაიჟინოს – ძიუდოისტებს სამბოში ჭიდაობა გამოუვათ, სამბისტებს ძიუდოში – არაო!

*გ. დაბახიშვილი*

## თავისუფალი ჭიდაობა

# ოქრო და ვერცხლი ბათუმის საერთაშორისო ტურნირიდან

**ამასწინათ** ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს გარდა, მონაწილეობდნენ მეზობელი სომხეთისა და თურქეთის ნაკრები გუნდები. ტურნირში საქართველოს სახელით ჭიდაობდნენ საგარეჯოს სპორტგაერთიანების მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის აღსაზრდელი ფალავნებიც. მათგან ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა **გიგა შიოშვილმა.** აღსანიშნავია ისიც, რომ 69 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე შიოშვილს 79 კგ-ში უხდებოდა ჭიდაობა და ასეთ შედეგს მიაღწია.

ტურნირის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დარჩა მეორე ჩვენს მოჭიდავე **მიხეილ ბოჭორიძეს**, რომელმაც კარგად დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ ფინალურ შეხვედრაში ველარ შეძლო მეტოქის სათანადოდ გამკლავება და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

*გივი დაბახიშვილი*

# ჭიდაობის, სიკეთის, სიმართლის რაინდი და ფალავანი

**როგორც** გაზეთის მკითხველებმა იციან, ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს, სახელოვან მოჭიდავეს, ცნობილ მოჭიდავეთა მომღვარს, შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, მრავალი სპორტული ღონისძიების ინიციატორსა და ორგანიზატორს, კაცს, რომელიც თავისი სიკეთითა და სიმართლით, პირადი ცხოვრების მაგალითით განასახიერებს იმ ადამიანთა განსაკუთრებულ სახეს, რომლითაც ქართველი ერი ამაყობს, ბიჭიკო მარიდაშვილს 2014 წლის 26 ივნისს შეუსრულდა 75 წელი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ იუბილარს შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა – 28 ივნისს საგარეჯოს ცენტრალურ საჭიდაო დარბაზში გაიმართა ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის საიუბილეო საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში (1994-96 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის). ტურნირმა, რომელმაც სპორტის, ჭიდაობის მოყვარულთა და ბიჭიკო მარიდაშვილის თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმიის დიდი ინტერესი გამოიწვია და მიიღო სპორტული ზეიმის სახე. აქ იყვნენ ჩამოსული მრავალრიცხოვანი საპატიო სტუმრები, მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები, მწვრთნელები, მსაჯები, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც თავიანთ მისალმებაში იუბილარს უამრავი თბილი სიტყვა უთხრა. ყველას სათქმელი კი აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დირექტორმა, საიუბილეო ტურნირის საღამოს ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა გია მაისურაძემ თქვა: – ბიჭიკო მარიდაშვილი თავისი სპორტული მიღწევებით, თავისი კაცობით, ადამიანობით, ღირსებებით სამაგალითო პიროვნებაა, რომლითაც შეუძლია იამაყოს რაიონმა და ქვეყანამ. ნორჩი თაობისთვის, ახალაზრდობისთვის ასეთი ღირსეული ადამიანის დაფასება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ აფასებენ ღირსეულ ადამიანს, რაც სტიმული იქნება მომავალი თაობისათვის, მიაღწიონ წარმატებებს, როგორც სპორტში, ასევე ცხოვრებისეულ რეალობაში. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა ორგანიზატორებს სათანადო დონეზე ჩაგვეტარებინა არა მარტო ბიჭიკოს სახელობის I საერთაშორისო ტურნირი, არამედ მისი სახელოვანი იუბილეც.

ტურნირის დაწყების წინ გაიმართა საზეიმო ნაწილი, რომელსაც ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი. იუბილარს თავიანთი სიმღერებით მიესალმნენ ნორჩი მომღერლები მარინა ურდულაშვილის სტუდიის აღსაზრდელები ნოდარ გერსამია და ლუკა მარტიაშვილი. საჭიდაო დარბაზში იყო საზეიმო განწყობა, მრავალრიცხოვან ჭიდაობის მოყვარულთა შორის იყვნენ საპატიო სტუმრები, სპორტსმენები: ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, ლუკა კურტანიძე, უშანგი კუზანაშვილი, ნოდარ მოდებაძე, ანზორ ზურაბაული, თამაზ გეგეშიძე, გივი ონაშვილი, მამუკა კურდღელაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, ტარიელ როსტომაშვილი, კობა კუპატაძე, მურთაზ ელერდაშვილი, სულიკო ზალიკაშვილი, ზაალ ქურხული, თამაზ კევლიშვილი, დევი რევაზიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ კანკავა, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გოგი ბიწკინაშვილი, საქართველოს ჭიდაობა სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ემილ რაში, საქართველოს სამბოს რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჯონდო მუზაშვილი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გურამ პეტრიაშვილი, ცნობილი მწვრთნელი ზესტაფონიდან კობა წიგნაძე და ფოთიდან ზურაბ ტუღუში, სომეხი კოლეგები ქალაქ ერევნიდან. რაც შეეხება ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის I საერთაშორისო ტურნირს სამბოში, პირველობას ეცილებოდნან ახალგაზრდა თაობის 70-მდე სამბისტი აჭარიდან, ვანიდან, ზესტაფონიდან, დედოფლისწყაროდან, თბილისიდან და სომხეთიდან. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი სამბოში უშანგი კუზანაშვილი. საგარეჯოელმა ფალავნებმა იმარჯვეს 4 წონით კატეგორიაში – 48კგ. წონით კატეგორიაში ტურნირის გამარჯვებული გახდა ამირან დარბაისელი, 52 კგ წონით კატეგორიაში – ირაკლი კუპატაძე, 62 კგ წონით კატეგორიაში – სოლომონ თედიაშვილი, 74 კგ წონით კატეგორიაში – ოთარ კაციაშვილი. ასევე 74 კგ წონით კატეგორიაში II-III ადგილები დაიკავეს საგარეჯოელმა ბექა სუკასიანმა და გიორგი ბეჟიაშვილმა. 57 კგ წონით კატეგორიაში III-IV ადგილები გაიყვეს ლაშა ხარატიძემ და ნიკა ყუშიტაშვილმა. 62 კგ წონით კატეგორიაში მესამე იყო ლაშა მათიაშვილი.საიუბილეო ტურნირზე მონაწილეობდნენ საგარეჯოელი ნორჩი ძიუდოისტი გოგონებიც.

*თენგიზ კობიაშვილი*

## ძიუდო

# ბრინჯაო ულან-ბატორის გრან-პრიდან




**ივლისის** დასაწყისში მონღოლეთში გაიმართა ულანბატორის გრან-პრის გათამაშება ძიუდოში,რომელშიც 100 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების ღირსებას ჩვენი სახელოვანი პატარძეულელი ფალავნის გივი ონაშვილის შვილიშვილი ლევან მატიაშვილი იცავდა. ლევანმა გრან-პრი ირანელ ჯაფარ პეჰლევანთან შეხვედრით გახსნა და ვაზარ-იუკოთი მოუგო. ამის შემდეგ მეოთხედფინალში მან შეხვედრის IV წუთზე ბეჭებზე დასცა გერმანელი ანდრე ბრეიტბარტი და ნახევარფინალში გადავიდა, სადაც სატურნირო ბადეში დაპირისპირება საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ მძიმეწონოსან ადამ ოქრუაშვილთან მოუწია. უილეთო შეხვედრაში ოქრუაშვილმა უპირატესობას მეტოქის 4 გაფრთხილებით მიაღწია. ამ წარუმატებლობის მიუხედავად ლევანმა შეძლო რეპეშაჟის ფინალის ბრწყინვალედ დასრულება – შეხვედრის III წუთზე მან ულამაზესი გდებით დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი ბატულგა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

*გ. დაბახიშვილი*

## ჭადრაკი

# ნორჩი მოჭადრაკის წარმატება თბილისსა და ქუთაისში

**30 მაისიდან** 8 ივნისის ჩათვლით ქუთაისში ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატი კომბინაციების ამოხსნაში 10 წლამდელ მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც საგარეჯოს სპორტგაერთიანების მწვრთნელების ნანი უნაფქოშვილისა და ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. ეტიუდების ამოხსნაში იმარჯვა და I ადგილი დაიკავა ნანი უნაფქოშვილის აღსაზრდელმა ლუკა გურჯიძემ. მწვრთნელს ამაგი და შრომა დაუფასა და II ადგილი კომპოზიციების ამოხსნაში დაიკავა ნიკოლოზ კევლიშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე).

23-27 ივნისს კი თბილისის შოთა ინწკირველის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი 10 წლამდელთა შორის, რომელსაც არც საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეები დაჰკლებიან. მათგან 7 ტურიდან 6 ქულა დააგროვა და I ადგილი დაიკავა მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელმა ლევან დალბაშვილმა. ამავე ჩემპიონატში 8 წლიანებში მონაწილეობდა ჩვენი 7 წლის მოჭადრაკე ზუკა გამრეკელაშვილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), რომელმაც 7 ტურიდან 5 ქულა დააგროვა და კოეფიციენტით IV ადგილზე გავიდა.

*გ. დაბახიშვილი*

## ქალთა ძიუდო

# „ფერაძის გოგონები“ კვლავ აქტიურობენ

# ნატალია ყიფშიძე 2015 წლის ევროპის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს

**საგარეჯოში** ქალი ძიუდოისტები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გამოჩნდნენ. მათ შორის ერთ-ერთი პირველი და გამორჩეული, ვინც ძიუდოს კიმანო მოირგო, მანაველი რუსუდან კუპატაძე, სამბოში ევროპის ჩემპიონის ირაკლი კუპატაძის მამიდა გახლდათ. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, სპორტის ამ სახეობაში რაიონს მოჭიდავე გოგონები არ ჰყოლია. საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანებში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ამ საქმის აღორძინება აიღო თავზე. ალბათ მკითხველი მიხვდება, რომ საუბარი გვაქვს საქართველოში ძიუდოში ერთადერთ ეროვნული კატეგორიის მსაჯ ქალზე, მწვრთნელსა და წარსულში *ტიტულოვან ძიუდოისტზე* **ლუდმილა ფერაძეზე.** საქართველოსა და ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონმა და ნაკრებების ნომერ პირველმა მოჭიდავემ სულ რაღაც რამდენიმე თვეა, რაც გიორგიწმინდელი, საგარეჯოელი, კაკაბელი და სხვა სოფლების გოგონების წვრთნა დაიწყო და მცირე დროის მიუხედავად უკვე ხელშესახებ წარმატებებს აღწევენ.მათი ამ წარმატებების შესახებ არაერთხელ გვიცნობებია ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ფერაძის აღსაზრდელებმა 12-13 ივლისს ბათუმში გოგონათა შორის ძიუდოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ქართველებთან ერთად თურქეთის ძიუდოისტი გოგონებიც იღებდნენ მონაწილეობას. „ფერაძის ნაკრები“ ამ ასპარეზობაში 20 გოგონათი ჩაება. 2000-2001 წლიანთა ჯგუფში 2002-2006 წლიანებით,ვინაიდან უფროსი ასაკის გოგონები არ ჰყავთ. მიუხედავად ასაკის



*ფერაძის გოგონები სპორტგაერთიანების დირექტორ გიორგი მაისურაძესთან და ლუდა ფერაძესთან ერთად ბათუმის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ.*

ასეთი სხვაობისა, ჩვენმა გოგონებმა გასაოცარი შედეგი უჩვენეს. 20 მონაწილიდან 16 სხვადასხვა სინჯის მედლით დაგვიბრუნდა საგარეჯოში. აქედან 2 ოქრო, სამი ვერცხლი, 11 კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. აქედან ზოგმა ორ დღეს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დაიმშვენა მკერდი მედლებით. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ტურნირის ჩემპიონები სალომე ბლიაძე (40 კგ) და ციცინო ბლიაძე (32კგ). აღსანიშნავია ისიც, რომ ასპარეზობის I დღეს მოპოვებულ თავის ოქროს მედალს სალომემ 13 ივლისს კიდევ ერთი ვერცხლის მედალი შემატა.

ვერცხლის მედალოსნებად დაგვიბრუნდნენ ბათუმიდან სალომე არაბული და მარიამ შუღლიაშვილი (ორივე საგარეჯო).

სხვადასხვა წონით კატეგორიებში ბრინჯაოს სინჯის მედლების მფლობელები გახდნენ მარიამ ხოსიტაშვილი, მაია მეკოკიშვილი (ორივე გიორგიწმინდა), მარიამ ჭიკაძე (კაკაბეთი), ხათუნა თვაური, ანა ასანიძე, მარიამ კოხტაშვილი, თინანო რევაზიშვილი, ხატია მინდიაშვილი, ნელი გულისაშვილი (ყველა საგარეჯო). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელმა ორივე დღეს იასპარეზა და შესაბამისად 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„ფერაძის გოგონებმა“ წარმატებით იასპარეზეს წეროვანში გამართულ საქართველოს პირველობაზე, სადაც ჩემპიონები გახდნენ სალომე ბლიაძე და ნატალია ყიფშიძე.

*გ. დაბახიშვილი*

***P.S.* *გოგონათა ძიუდოს მწვრთნელი ლუდა ფერაძე, ძიუდოისტი გოგონები, მათი მშობლები მადლობას უხდიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს გიორგი ლოლაძეს გაწეული დახმარებისა და მხარში დგომისათვის***

## მილოცვა

აიპ **„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორს, ქართული ტრადიციების ჭეშმარიტ დამცველს, ქართული სპორტის დიდ გულშემატკივარს, ქომაგსა და გვერდში მდგომს** **გია ბედიაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს და ახალ-ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

*თანამშრომლები*



დაბადების დღეს ვულოცავთ შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთ „გარეჯის მაცნეს" ბუღალტერს **ნანა ქურდოვანიძეს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას თავის მარიამთან ერთად.

*თანამშრომლები*

**აიპ** საგარეჯოს სპორტული გაერთიანების თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაერთიანების თანამშრომელს **მერი მჭედლიძეს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს. სულ ასეთი ენერგიული და ხალისიანი ყოფილიყავით, რათა კვლავ ერთგულად ემსახუროთ ჩვენი აღსაზრდელების წარმატებულ სპორტსმენებად აღზრდა-განვითარებას.



## მადლობა

**მადლობას** ვუხდი საგარეჯოს მუნიციპლიტეტის გამგეობას, აიპ საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექციას, პირადად დირექტორს გია მაისურაძეს, მუნიციპალიტეტის სპორტის მთავარ სპეციალისტს გია ხოსიტაშვილს, საქართველოს პარლამენტში საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს თინა ხიდაშელს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს თამარ ჯაბადარს, თენგიზ კობიაშვილს – დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ჩემი სახელობის საერთაშორისო ტურნირი-საღამოს ჩატარების მაღალ ორგანიზებულ დონეზე უზრუნველყოფისათვის. მადლობას ვუხდი აგრეთვე – ლევან თედიაშვილს, გურამ საღარაძეს, ელდარ კურტანიძეს, ნოდარ მოდებაძეს, უშანგი კუზანაშვილს, მამუკა კურდღელაშვილს, ანზორ ზურაბაულს, სპარტაკ ქარსაულიძეს, ვლადიმერ კანკავას, ემილ რაშის, გაბრიელ ბარჯაძეს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, ჯონდო მუზაშვილს, ავთო და ტარიელ ცინცაძეებს, გოგი ბიწკინაშვილს, გურამ პეტრიაშვილს, თემურ წამალაშვილს, ზურაბ ტუღუშს, შალვა გაბუნიას, დავით ტიგინაშვილს, რომან ზუკაკიშვილს, მურთაზ ელერდაშვილს, სულიკო ზალიკაშვილს, თამაზ გეგეშიძეს, თამაზ კევლიშვილს, დევი რევაზიშვილს, ზაურ ქურხულს, ტარიელ როსტომაშვილს, ტარიელ სუხიშვილს, კახა ყორღანაშვილს, თემურ კურდღელაშვილს და სხვა, რომლებმაც პირადად მომილოცეს დაბადების 75 წლისთავი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო ტურნირ-საღამოს ორგანიზებულად ჩატარებაში.

***პატივისცემით და დიდი სიყვარულით***
**ბიჭიკო მარიდაშვილი**

## მონატრება

### დათო ბაღდადაშვილი



**თბილისის** შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე წარმატებული სწავლის შემდეგ დაუბრუნდი მშობლიურ რაიონს. გინდოდა, შვილო, შენი ცოდნა და ენერგია შენი რაიონისა და ხალხისთვის მოგეხმარებინა, აკი ამიტომაც გულთბილად მიგიღო რაიონის ხელმძღვანელობამ სამუშაოდ და სულ მალე გამოავლინე შენი ხალასი ნიჭი, გონიერება და სიკეთით სავსე გული. ბუნებისგან უხვად შემკობილს სახეზე გეწერა, რა იშვიათი ბუნების ადამიანი იყავი, შვილო, იშვიათი სულიერი სილამაზე გამშვენებდა. შენი ლამაზი ბუნება ვერ იტანდა დახლების სიცარიელეს და გინდოდა შენი ხალხისთვის მაღაზიები აგევსო ფართო ასორტიმენტის საქონლით. შენ იყავი პირველი მერცხალი, პირველი ბიზნესმენი საქართველოში, უანგარო, განა ანგარებიანი, მაგრამ არ დაგცალდა შვილო, ბოროტებმა მალე მოგიღეს ბოლო.

მოდის შენი დაბადების დღე – 30 ივლისი – განუზომლად დიდი ტკივილითა და სევდით. ასე მგონია 1992 წლის 30 ივლისი იყოს. კუბოს გარშემო 31 სანთელი დაგინთე, შვილო, თავით კი 31 სანთლიანი ტორტი, დედამ ამ დროს ჩაგიდო შენს სამუდამო განსასვენებელში შენი ნიჭით აღებული დიპლომი, დათო.

მას შემდეგ 22 წელია და ყველას გვენატრები, შვილო. სიზმრად მაინც მეჩვენე, ჩემო დიდბუნებოვანო, დიდებულო, უგანათლებულესო დათო. მენატრება შენი ლამაზი ღიმილი და პოეტური სიტყვები, ლამაზი იუმორით დამთავრებული. ვერავითარი დრო ვერ მოშლის ჩემს გულში იმ უსაშველო ტკივილებს და შეუხორცებელ ჭრილობას რა ეშველება, შვილო?!

ყველა ერმა ძმად მიგიღო, დათო, შენმა უზბეკმა კოლეგამ კი ლამაზი ქართველი გიწოდა. ნუთუ ყველა ქართველი შენისთანაა. აქ კი არამზადა ქართველებმა ბარბაროსული სიკვდილი გარგუნეს არაფრის გულისათვის, თუ დიდი სიმდიდრე, იშოვეს შენი სიკვდილით, შვილო. როგორ გაგიმეტეს, შვილო, უდანაშაულო ადამიანს დაბადების დღე გასვენების დღედ გიქციეს ბოროტებმა. რა დავუშავე მე შენს მკვლელებს, დათო, რომ ყველაზე საშინელი და მძიმე ხვედრი მარგუნეს – შვილის სიკვდილი. ეს ხომ წამებაა ცოცხლად, წამებაა დედის. 22 წელია უცრემლო ღამე არ არსებობს ჩემთვის. შენ ხომ იშვიათი, საოცარი და ლამაზი სიცოცხლე გქონდა. სიკვდილიც საოცარი იყო, შვილო – მარცხენა თვალიდან ცრემლი გდიოდა. არ ვიცი შენ ლამაზ ახალგაზრდობას შენვე დასტიროდი, თუ უშენოდ დარჩენილი უბედური მშობლები გეცოდებოდა, შვილო. შენ სიყვარულისთვის მოსულო ამ ქვეყნად. მთელი ქვეყანა გიყვარდა. სულ 5 წელი იმუშავე უმაღლესის დამთავრების შემდეგ, მაგრამ შენ ისეთი უნარი გქონდა, შვილო, მოკლე დროში შეძელი კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბება. როგორ გიყვარდა შენი პროფესია, შენი სამსახური, დათო. კაბინეტში ჯდომას სხვადასხვა რესპუბლიკებში ამჯობინებდი წასვლას სარეალიზაციო საქონლის შემოსატანად. ყველგან რომ გიმართლებდა, რა აღტაცებული და გახარებული ბრუნდებოდი, შვილო.

მე შენთან ერთად დავამთავრე სიცოცხლე, შვილო.

შენი სამარე დედის გულია – წამი რომ არ არსებობს, შენზე ფიქრის გარეშე ვიყო. ვინც შენ ლამაზი სიცოცხლე ჩაგიმწარა, მჯერა, შვილო, ღმერთი არ აპატიებს. ის გამოუტანს სამართლიან განაჩენს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმშვენიერესი, უმანკო და სპეტაკი სული.

*შენი უბედური დედა*

## მონატრება

### გიორგი კირაკოზაშვილი



***„კაცი ქართველი თუ არის,***
***იტყვის ვით მგზავრი გზაზედა,***
***„სამშობლო", როგორც უფალი,***
***ერთია ქვეყანაზედა.***
***გზები ერთმანეთს კვეთავენ,***
***დაჭიმული გვაქვს მშვილდები***
***ნუ მივატოვებთ ერთმანეთს,***
***როცა ერთმანეთს ვჭირდებით!!!"***

**შვილო გია,** ეს შენი საყვარელი ლექსია. ამიტომაც მინდა ამ სიტყვებით დავიწყო შენი მოსაგონარი. 2008 წლის 9 აგვისტოს ქართულ მიწაზე, სამაჩაბლოში მიმდინარე ომში გარდაცვლილი მეთაურის გამოსაყვანად შეხვედი ბრძოლის ველზე, თან კოორდინატებს ინიშნავდი. დივიზიონიდან 4 ოფიცერი გარდაიცვალა, რომლებმაც დაიცვეს თავისი „სამშობლო". თქვენ არ მიატოვეთ არავინ, თქვენ კი ყველამ მიგატოვათ. 5 ნოემბრამდე, „დნმ"-ის პასუხამდე არ ვიცოდით, ცოცხლები იყავით თუ გარდაცვლილები... 9 აგვისტოს სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე.

2008 წ. 7 აგვისტოს დილით, რუსი პოლკოვნიკი ტელევიზიით გადმოსცემდა, რომ საქართველოში ღრმად ვერ შევდივართ, ქართული არტილერია ხელს გვიშლისო, 9 აგვისტოს იმავე პოლკოვნიკმა გამოაცხადა: არტილერია განადგურდაო...

შენმა თავზარდამცემმა გარდაცვალებამ შეძრა შენი სანათესაო, სამეგობრო, ნაცნობები თუ უცნობები, დიდი თუ პატარა, შენ ცად ამაღლდი, მე კი გაუსაძლის მწუხარებაში ჩავვარდი. ძალიან მიმძიმს უშენობა... ჩემს ცხოვრებას დაეკარგა სილაღე, ღმერთმა ქნას ბედნიერი დედა ვიყო, მაგრამ ბედნიერი ქალი აღარასოდეს ვიქნები, რადგან ტკივილი აღარასოდეს განიკურნება, მონატრებას წლები ვერ უმკლავდება, ჟამთა სვლა იარებს ვერ კურნავს. ბედნიერება მხოლოდ შენთან შეხვედრით შეიძლება... ერთი სიკვდილი ყველას გვაქვს, მაგრამ საშინელებაა, როდესაც შენი შვილის, უმშვენიერესი სიცოცხლე უსამართლობას შეეწირება. ეს კი იმ მარტოხელა დედის სიმწრის გაუსაძლისი ტკივილია, რომელმაც ვერ შეძლო თავისი შვილის სიცოცხლეს გაფრთხილებოდა.. დიახ, სხვების უპასუხისმგებლო, ამბიციური სურვილების გამო, მათი გაუაზრებელი საქციელით, 33 წლის ასაკში წაგართვეს ღვთისგან ბოძებული უძვირფასესი სიცოცხლე და უდიდესი ტკივილი დამიტოვეს.

ჩემო უძვირფასესო შვილო, უკვე მეშვიდედ მოდის ჩემი უბედურების მომტანი 9 აგვისტო, რომელმაც სამუდამოდ დაგვაშორა მე და შენ, შენს ადგილსამყოფელს არასოდეს მოაკლდება სანთლები და ცრემლები. ვთვლი, რომ შენი გული ისევ თბილია, როგორც ადრე, შენ სხეულს სენი არ მოერევა, არც არასოდეს დაგიჩივლია – მტკივაო. იგი დაიფერფლა ერისა და ბერის სიყვარულში, მოყვასისადმი სითბოსა და სიყვარულის განაწილებაში, საკუთარი ქვეყნის ბედზე ფიქრსა და დარდში, და როგორც იტყოდი – „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის", ვმადლობთ უფალს, რომ შენ იყავი ჩვენთან და და იქნები ჩვენთვის, როგორც სიმბოლო და ორიენტირი ღვთისკენ მსწრაფველი სულისა!

შენი გულდამწვარი დედის ლოცვებმა გაგინათოს გზა მარადისობაში, რაც ომის დროს ვერ შევძელი და სინანული მტანჯავს, ახლა ნუგეშს ეკლესიაში სიარულით ვპოულობ.

კურთხეულ იყოს შენი და შენი თანამებრძოლების მონატრება, საუკუნო იყოს თქვენი ხსენება, ალალი იყოს თქვენთვის დაღვრილი ცრემლი, თქვენს სახელზე გაკეთებული საკურთხი და თქვენს სახელზე დანთებული უამრავი სანთელი!

*დალი კირაკოზაშვილი,*

***2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად გარდაცვლილი IV ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის კაპიტნის, დაზვერვის უფროსი ოფიცრის გიორგი კირაკოზაშვილის დედა***

## ზაფხულის უსიამოვნებანი

### მზე სისხლძარღვების მტერია

**ზაფხულში** იზრდება გულ-სისხლძარღვებით დაავადებულთა რიცხვი. სიცხის გამო მკვეთრად მცირდება ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა, რაც ადამიანებში იწვევს რეფლექსურად კანის სისხლძარღვების გაფართოებას, ამავე დროს იზრდება გულისცემის რიტმი, აჩქარებულია სუნთქვა, ეწყებათ ჰაერის უკმარისობა, ხუთვა, თავბრუს ხვევა, რასაც მოსდევს წნევის „ხტუნვა".

როგორ მოვიქცეთ ამ დროს?

– სიცხის დროს ოფლის სახით ვკარგავთ ბევრ სითხეს, ამიტომ უნდა ვსვათ დღე-ღამეში 2 ლიტრამდე წყალი, ხოლო მათ, ვისაც შეშუპება ეწყებათ – 1-1.5 ლიტრი. სიცხეში ყველაზე მეტად საშიშია გულსისხლძარღვებით დაავადებულებისთვის ნაშუადღევი, რადგან სწორედ ამ დროს მკვეთრად მცირდება ჰაერში ჟანგბადი.

ჰიპერტონიკებისთვის არათუ გარუჯვა, არამედ მზეზე დიდხანს ყოფნაც არ შეიძლება.

თუ სიცხისგან თავი გტკივათ, დაიზილეთ ტანი გრილ და არა ყინულივით ცივი წყლით, დაიწყეთ დაზელა ფეხებიდან – ქვევიდან ზევით, ხელის თითებიდან – მხრებისკენ.

უმჯობესია სიცხეში არა ატაროთ ლითონის სამკაული, განსაკუთრებით შეკრული (მაგალითად ოქროს ძეწკვი). ყველაფერი ეს ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას.

ჰიპერტონიის დროს სასარგებლოა დილასაღამოს კონტრასტული შხაპი ან ვაშლის ძმარგარეული გრილი წყლის ტანზე გადავლება (10 ლიტრი წყალი და 1 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი).

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru